ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარინე ბერაძის

წლიური ანგარიში

სახელი: მარინე

გვარი: ბერაძე

არჩევის წესი: პროპორციული

კომისია: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ფრაქცია: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

საანგარიშო პერიოდი: 2022 წლი 1 ნოემბრიდან 2023 წლი 1 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი:

მორიგი	X
რიგგარეშე	

1.საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

1.1. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების ჯამური რაოდენობა (მორიგი რიგგარეშე) 12

1.2. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ სხდომებზე დასწრების ჯამური რაოდენობა (მორიგი რიგგარეშე 11

1.3. საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება

- **ინიცირებული გადაწყვეტილების პროექტის დასახელება:**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის „გმირების მწვერვალის“ სახელის მინიჭების შესახებ.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებების ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის გოჩა უნგიაძის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის N48 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული

ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე ცვლილებების შეტანის თაობაზე.
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.
7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.
8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N79 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის მამუკა კალანდაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე
9. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე
10. ყოველ კვარტალში საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცება.
11. 2022 წელს წარვუდგინე ინიციატივები გენდერული თანასწორობის საბჭოს:

    ა) შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის შემუშავებისა და ცალკე კოდით შეტანის თაობაზე

    ბ) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების ფინანსური დახმარების შესახებ

გ) ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პორგრამის ცალკე ქვეპროგრამად ჩამოყალიბებისა და მასში შემავალი პროგრამებისთვის კოდების მინიჭების შესახებ.

- **პროექტის მოკლე აღწერა:**

1. ვეტერანთა დეპრტამენტის წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე, საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით მომზადა განკარგულების პროექტი, რომელმაც გაიარა შესაბამისი პროცედურები, მათ შორის წარმოდგენილი იქნა გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიის დადებითი დასკვნაც, შემდგომში წარედგინა დასამტკიცებლად საკრებულოს.
2. საჯარო რეესტრის დამისამართების დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე შეიმუშავდა განკარგულების პროექტი, რომელიც წარვუდგინე განსახილველად სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და შემდგომ მიღებული დასკვნის საფუძველზე წარედგინა საკრებულოს.
3. მომზადა განკარგულების პროექტი, რომელმაც გაიარა შესაბამისი პროცედურები, მათ შორის წარმოდგენილი იქნა გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიის დადებითი დასკვნაც, შემდგომში წარედგინა დასამტკიცებლად საკრებულოს.
4. მუნიციპალიტეტის დამისამართებასთან დაკავშირებით დადგა ცვლილების შეტანის საჭიროება, რათა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რუკებზე სწორად ყოფილიყო მითითებული დამისამართებები.
5. მუნიციპალიტეტის დამისამართებასთან დაკავშირებით დადგა ცვლილების შეტანის საჭიროება, რათა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რუკებზე სწორად ყოფილიყო მითითებული დამისამართებები.
6. მუნიციპალიტეტის დამისამართებასთან დაკავშირებით დადგა ცვლილების შეტანის საჭიროება, რათა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რუკებზე სწორად ყოფილიყო მითითებული დამისამართებები.
7. მუნიციპალიტეტის დამისამართებასთან დაკავშირებით დადგა ცვლილების შეტანის საჭიროება, რათა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რუკებზე სწორად ყოფილიყო მითითებული დამისამართებები.
8. მუნიციპალიტეტის დამისამართებასთან დაკავშირებით დადგა ცვლილების შეტანის საჭიროება, რათა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რუკებზე სწორად ყოფილიყო მითითებული დამისამართებები.

9. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან თანამშრომლობით შემუშავდა ინიციატივა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი შეუერთდეს ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ ევროპულ ქარტიას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ.

10. კომისიების მიერ შემუშავებული კვარტლური სამუშაო გეგმების წარმოდგენის შემდეგ შევიმუშავებთ ყოველკვარტლურ საკრებულოს სამუშაო გეგმას, ხდება განხილვა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაზე და წარედგინება ბიუროს და საკრებულოს.
11. გენდერული თანასწორობის საბჭომ მხარი დაუჭირა ჩემი მიერ წარდგენილ ინიციატივებს და უკვე საბჭოს სახელით თითოეული ინიციატივა, როგორც საბიუჯეტო ინიციატივა წარედგინა აღმასრულებელ ორგანოს.

➢ **დამდგარი შედეგი:**

1. 2023 წელს 29 ნოემბერს მიღებულ იქნა განკარგულება N73, ხოლო 2023 წლის 19 აგვისტო სახელმინიჭებულ მწვერვალზე გაკეთდა შესაბამისი აბრა-ფირნიში.

2. 2023 წელს 28 მარტს მიღებულ იქნა განკარგულება N14 და შესაბამისი მონაცემები ოფიციალურად აისახა საჯარო რეესტრის ვებ.გვერდზე და რუკებზე.

3. 2023 წლის 28 მარტს მიღებული იქნა განკარგულება N15 და გადაიგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სადაც აისახა შესაბამის მონაცემებში და რუკაზე.

4. შეტანილ იქნა ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის N48 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“

5. შეტანილ იქნა ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე .

6. შეტანილ იქნა ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

7. შეტანილ იქნა ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

8. შეტანილ იქნა ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N79 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის მამუკა კალანდაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

9. მერიიდან წარმოდგენილი ინიციატივა განხილული იქნა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაზე, შემუშავდა განკარგულების პროექტი და მომზადდა შესაბამისი დასკვნა. 2023 წლი 9 ოქტომბრიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

შეუერთდა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ ევროპულ ქარტიას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ.

10. საკრებულო მუშაობს დამტკიცებული სამუშაო გეგმების მიხედვით.
11. წარდგენილი ინიციატივები ა) შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის შემუშავებისა და ცალკე კოდით შეტანის თაობაზე ბ) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების ფინანსური დახმარების შესახებ გ) ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პორგრამის ცალკე ქვეპროგრამად ჩამოყალიბებისა და მასში შემავალი პროგრამებისთვის კოდების მინიჭების შესახებ, სრულად აისახა 2023 წლის ბიუჯეტში და დაფინანსდა, მათ შორი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მუხლში დაფინანსება 20 000 ლარიდან გაიზარდა 40 000 ლარამდე.

1.4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ,,დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-სათვის (ს/ნ -402157330) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 55.80 კვმ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ - 28.01.21.003) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ოდა ქეარ“-ისათვის (ს/კ - 437373156) გადაცემის შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2022 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 2 ერთეული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიების მიწის ნაკვეთები) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“
7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის „გმირების მწვერვალის“ სახელის მინიჭების შესახებ.
8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

9. . ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

10. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

11. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

12. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

13. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

14. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

15. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

16. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

17. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

18. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

19. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

20. ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალისათვის” (ს/კ - 242008812) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

21. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 34.80 კვ.მ. ფართის (N4; N13) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.007) უსასყიდლო

უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე
22. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ

23. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

24. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

25. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ

26. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ

27. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

28. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

29.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

30. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

31. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ

32. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

33. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. საჭამიასერში მდებარე 2376.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.16.22.013) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საჭამიასერის საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

34. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. საჭამიასერში მდებარე 4407.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.16.22.014) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ გადაცემის შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

35. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

36. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების

განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

37. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

38. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

39. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

40. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

41. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

42. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

43. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე.

44. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებების ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე.

45. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯვარცხმის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის გოჩა უნგიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

46. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის N48 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ

იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

47. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე ცვლილებების შეტანის თაობაზე.

48. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

49. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N79 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის მამუკა კალანდაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

50. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

51. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

52. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

53. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

54. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ.

55. ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2022 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

56. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის

57. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

58. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.

59. მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

60. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგოლესუბანში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.04.21.097) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.05.23.006) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

61. 2023 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

62. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2023-2024 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

63. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართლდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

64. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

65. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

66. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

67. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N45-ში მდებარე 1150.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.01.22.116), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N51-ში მდებარე 5828.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ - 28.01.22.266), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N24-ში მდებარე 48644.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ - 28.01.22.267), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N24-ში მდებარე 27629.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.268) და დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 66.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.01.22.134) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

68. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

69. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

70. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2023 წლის განვლილ პერიოდში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

71. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შესახებ.

72. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

73. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

74. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში N28.01.22.1080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 272.30 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

75. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ" შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

76. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

1.5. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

0

2.საკრებულოს კომისიებში, ფრაქციაში და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა

2.1. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშ არის საკრებულოს წევრი	11
2.2. საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე დასწრების რაოდენობა	11
2.3.საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების რაოდენობა	0
2.4. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებზე დასწრება	0
2.5. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი	11
2.6. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა	10

3.საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი დასმული შეკითხვები, მიღებული პასუხები:

- **ანგარიშვალდებული პირი/ორგანო:**
  ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია
- **დასმული შეკითხვა:**
  (წერილობით დასმული შეკითხვა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-20 მუხლის „ ვ“ პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს კომისია აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს; აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ განკარგულებებთან დაკავშირებით მერიის მიერ მიღებულია თუ არა შესაბამისი ზომები, როგორიცაა სახელდებულ ქუჩებზე ფირნიშების დამზადება და განთავსება.
  1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე
  2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის N48 განკარგულება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“
  3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N79 განკარგულება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის მამუკა კალანდაძის სახელის მინიჭების შესახებ

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯვარცხმის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის გოჩა უნგიაძის სახელის მინიჭების შესახე

- მიღებული პასუხი:
  პასუხი ჯერ არ მიმიღია

- როგორც კომისიისსამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მონიტორინგის მიზნით გამოვითხოვე საკრებულოს აპარატიდან საკრებულოს წევრთა საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე დასწრების მონაცემები, განიხილა კომისიამ და დასკვნა წარვუდგინე ბიუროს.

4. ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა:

4.1. საანგარიშო პერიოდში მიღებაზე მოსული მოქალაქეთა რაოდენობა	150
4.2.საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრებზე დამსწრეთა რაოდენობა	280

4.3.მოქალაქეების მიერ დასმული საკითხები:

- საკითხების დასახელება
  1. ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტა.
  2. სოციალური პროგრამებით სარგებლობა
  3. ძალადობის მსხვერპლთა პრობლემები
  4. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების პრობლემები
  5. შშმ პირთა(ზრდასრული) პრობლემები
  6. დიდთოვლობა, გზების გაწმენდა
  7. გარე განათების მოწყობა

- საკრებულოს წევრის მიერ მიღებული ზომები
  1. შესაბამის სამსახურებთან დამისამართება და შუამდგომლობა კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე
  2. კონსულტაციის შედეგად სოციალურ სამსახურთან დამისამართება და შუამდგომლობა კონკრეტული სოციალური პროგრამით სარგებლობისთვის.
  3. ძალადობის მსხვერპლის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, დაკავშირება კრიზისულ ცენტრთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ძალადობის მსხვერპლებთან.

4. დამისამართება მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურთან და შუამდგომლობის გაწევა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.
5. შშმ(ზრდასრული) პირებისთვის საჭიროების შემთხვევაში დამისამართება მერიის სოციალურ სამსახურთან, მუშაობა დაწყებული მაქვს შშმ ზრდასრულ ქალებთან ფოკუს ჯგუფების კვლევის დაწყების მიზნით.
6. მიმართვა შესაბამის სამსახურს გზების გაწმენდასთან დაკავშირებით.

- მიღებული შედეგები:
  1. გაკეთებული გზა, განათება, მილ-ხიდი, სანიაღვრე არხი
  2. დაფინანსებული სტაციონარული მკურნალობა, დაფინანსებული ოპერაცია, მედიკამენტებისთვის დახმარების მიღება.
  3. ძალადობის მსხვერპლები რეაბილიტაციისთვის იღებენ ფინანსურ დახმარებას(მუნიციპალიტეტიდან), ფსიქოლოგის და იურისტის მომსახურებას(„ფონდი სოხუმი“, ოზურგეთის კრიზისული ცენტრი)
  4. დამისამართება მერიის სოციალურ სამსახურთან და შუამდგომლობის გაწევა
  5. კონკრეტული სოციალური პროგრამით სარგებლობა
  6. თოვლისგან გაწმენდილი გზები

5. ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის სხვა ფორმები

5.1. მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში.

მოსახლეობის საჭიროებების კვლევა ძირითადად ხდება მოქალაქეებთან საჯარო შეხვედრის დროს, ასევე კომისიისა და საბჭოს გასვლითი სხდომების დროს. ვახორციელებ მიღებული ინფორმაციის და საჭიროებების აღრიცხვას, მათგან მიღებული ინფორმაციებისა და გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე ხდება სხვადასხვა ინიციატივების წარდგენა. კონკრეტულად, 2022 წელს ჩატარებული შშმ პირთა დედების ფოკუს ჯგუფების კვლევების შედეგად, მე წარვუდგინე გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივა, შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა ცალკე პროგრამად და ქვე კოდით გასულიყო ბიუჯეტში და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამაში. ინიციატივაზე მივიღე სრული მხარდაჭერა, შემდგომში ინიციატივა საბჭოს სახელით წარედგინა მერიას და ასახული იქნა 2023 წლის ბიუჯეტში. ყოველი შეხვედრის დროს ვინიშნავ მოქალაქეების მიერ წარმოდგენილ პრობლემებს და გამოწვევებს და შემდგომ ვაგრძელებ მუშაობას, შევისწავლი საკითხს რა და როგორ შეიძლება კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა. არის შემთხვევებიც როცა ვერ ვეხმარები პრობლემის გადაწყვეტაში და ამას ყოველთვის აქვს ობიექტური მიზეზი, მაგრამ ეს არ არის საფუძველი ამ კონკრეტულ საკითხზე აღარ გავაგრძელო მუშაობა.

5.2. საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმებისა და გამოცდილების აღწერა (არსებობის შემთხვევაში)

აქტიურად ვთანამშრომლობ საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ეს შესაძლებელია განხორციელდეს რომელიმე მოქალაქის კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას, ასევე ზოგადად, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კომისიის თავმჯდომარე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვთანამშრომლობ საჭიროებიდან გამომდინარე არაერთ საჯარო უწყებასთან. მათ შორის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საქართველოს პროკურატურასთან და შშს-თან ძალადობის პრევენციის მიმართულებით, საჯარო სკოლებთან , სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთან.

ჩემი აქტიური თანამშრომლობა შედგა და მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, ფონდი „სოხუმი“, ორგანიზაცია „ ქალთა საინიციატივო შეხვედრები გურიაში“, ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი, ორგანიზაცია „პარტნიორობა განათლებისა და კომუნიკაციისთვის", ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია.

თანამშრომლობა არის როგორც გამოცდილების გაზიარების კუთხით, ასევე მათ მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელებისას, ტრენერად გადამზადება, საინფორმაციო შეხვედრები და ა. შ.

საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგია არაერთი წარმატებული პროექტი და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტში. უფრო დეტალურად აღწერილია პუნქტი **5.3 - ში.**

5.3. **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა (შეხვედრებზე, ტრენინგებზე დასწრება, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა თუ საბჭოებში მონაწილეობა):**

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში მონაწილეობას ვიღებ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საქმიანობაში, მათ შორის: ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის შემუშავების ჯგუფის წევრი, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის" და "სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ მინდობით აღზრდიდან სრულწლოვანობის გამო ამორიცხული 24 წლამდე პირების ფინანსური დახმარების " პროგრამებით გათვალისწინებული თანხის ეფექტურად და მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი, მონაწილეობას ვიღებ სხდომებში და განცხადებების განხილვაში, შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავებაში.

ვარ ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) წევრი, ახალგაზრდული იდეების საკონკურო ჯგუფის წევრი.

ყველაზე ფართოდ, ზემოთ მითითებული საბჭოებიდან და სამუშაო ჯგუფებიდან გამოვყოფდი გენდერული თანასწორობის საბჭოს, სადაც სრულად ვარ ჩართული საქ მიანობის ყველა ეტაპზე, ყველა მნიშვნელოვანი ინიციატივა ჩემს მიერაა საბჭოსთვის წარდგენილი და ინიციატივების განხორციელების ბოლო ეტაპამდე ვარ ჩართული.

აქტიურად ვარ ჩართული ფრაქციულ მუშაობაში და NDI-სთან ერთად მონაწილოება მივიღე არაერთ შეხვედრაში.

ჩემი უშუალო ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით 2023 წლის 20 ივლისს ჩავატარეთ ქალთა ფორუმი „ქალები ცვლიან...“, ფორუმთან ერთად მოეწყო ადგილობრივ შემოქმედ ქალთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ასევე სკოლის მოსწავლეთა პროექტების პრეზენტაციები (USAID-ის და ევროკავშირის მიერ დაფინასებული)ფორუმს ადგილობრივ მაცხოვრებელ ქალებთან ერთად ესწრებოდნენ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრი, ასევე მოწვეული სტუმრები სამხარეო ადმინისტრაციიდან და მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან.

ვარ NDI-ის ერთწლიანი პროგრამის მონაწილე "ლიდერი ქალები ცვლილებებისთვის".

აქტიურად ვარ ჩართული USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამასა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმებულ 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. მონაწილეობა მივიღე USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილ ტრენინგ პროგრამებში - „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება“ და „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ინტერმუნიციპალური შეხვედრა - მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფოთის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, შეხვედრაზე პრეზენტაცია წარვადგინე, როგორც საკრებულოს წევრმა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ.

ვითანამშრომლე დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელებთან, მონაწილეობა მივიღე მათ პროექტში „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის“, გადამზადებული ვარ ტრენერად და ვატარებ ტრენინგებს სხვადასხვა თემებში.

2023 წლის აგვისტოში გავიარე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული კურსი და ტესტირება, თემაზე „გენდერული მეინსტრიმინგის ადგილობრივ დონეზე.

USAID მედია პროგრამამ, NDI Georgia-სთან თანამშრომლობით, NDI-ს პარტნიორ საკრებულოს წევრ ქალებს ტრენინგი, სადაც ასევე ვმონაწილეობდი.

ჩართული ვიყავი პროექტის „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის" შემაჯამებელი შეხვედრაში , რომელსაც ახორციელებდა „დემოკრატიული ჩართულობის

ცენტრების ქსელი“ (NCCE). პროექტი ნაწილია პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“, რომელიც ერთობლივად განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით.

მონაწილეობა მივიღე შეხვედრებში:

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბჭოსა და მერიის წარმომადგენლებისთვის სექსუალური შევიწროების საკითხებზე გამართულ საინფორმაციო შეხვედრა
- „მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერის ინკლუზიური გაზრდისთვის“ პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან
- პროექტი „გენდერი ფოკუსში: საქართველოს თემები, ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში, "გენდერის ფესტივალი" გაიმართა
- საქართველოს პროკურატურის ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, ოზურგეთის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებთან შეხვედრა.
- ქალთა ფონდ „სოხუმის“ ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა თემაზე - ძალადობის პრევენცია და ძალადობის მსხვერპლის დაცვა (სოციალური თანამშრომლობა და რეფერირება).
- პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში” შეხვედრა, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ძირითადი მიმართულებები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საჭიროებები და გამოწვევები და “თანა-შექმნის“ პრინციპით იდენტიფიცირება იმ პრიორიტეტული სფეროების, სადაც პროგრამას შეუძლია მხარდაჭერა მუნიციპალური მმართველობის სისტემების გაუმჯობესების და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული საჯარო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.
- ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის ფარგლებში გაიმართა შეხვერდა 2022 წლის 21 დეკემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და სამრევლო სკოლის ბებიების კლუბის წევრებთან, სამრევლო სკოლისა და N1 საჯარო სკოლის მაღალკლასელებთან.
- IX-XII კლასის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.
  შეხვედრის თემა იყო ადრეული ქორწინება, რისკები და პრევენცია.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებთან, საკრებულოს წევრებთან, ა(ა)იპე-ბის და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.
- თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ (NCCE).

პროექტი ნაწილია პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით.

- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტებთან ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიმართულებით მუშაობის ფარგლებში , მონაწილეობა მივიღე ანტიდისკრიმინაციული და ინკლუზიური კომუნიკაციის საკითხებსა და საუკეთესო პრაქტიკის სასწავლო გზის შესახებ ტრენინგ-სემინარში.
- ორგანიზაცია "პარტნიორობა განათლებისა და კომუნიკაციისთვის" -სა და ბრიტანულ ფონდ The BEARR Trust -ის პარტნიორობით მიმდინარე პროექტის "MERIT-ME Migrants Empowerment and Reintegration through Training, Mentoring and Engagement" ფარგლებში, თანასწორი თანასწორს პრინციპით გადამზადებულმა ტრენერმა საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სათემო და ადმინისტრაციულ ცენტრებში, რომელიც მიზნად ისახავდა სეზონურ შრომით მიგრაციაში ჩართული პირების უნარების გაძლიერებასა და რეინტეგრაციის ხელშეწყობას.

  წარვუდგინე ინიციატივა გენდერული თანასწორობის საბჭოს, მივიღე მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საბჭოსთან ერთად ჩავატარეთ საქველმოქმედო აქცია“ თაობები ერთმანეთისთვის“ და დავეხმარეთ რამდენიმე მარტოხელა მოხუცს.
- ჩემი ინიციატივით და გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერიის მხარდაჭერით საბჭოს სახელით ჩავატარეთ შშმ პირთა დედებთან შეხვედრა, მათთვის განკუთვნილი მუნიციპალური პროგრამის პრეზენტაცია, დედებს გადაეცათ საჩუქრები.
- 2023 წლის 2 ოქტომბერს წარვადგინე განაცხადი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით, პროექტის “მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ საუკეთესო პროექტების კონკურსში ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა რეალიზების საკითხზე.

6. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ:

შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები ასეთია:

- გავაგრძელებ მოქალაქეებთან შეხვედრებს, მათი საჭიროებების გამოსავლენად შევიმუშავებ კონკრეტულ სამუშაო გეგმას.
- გაგრძელდება სოფლებში ქალთა საინიციატივო ჯგუფების შექმნას გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერით.
- მაქსიმალურად ყველა ღონისძიებაში მივიღებ მონაწილეობას, რაც ემსახურება მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებას.
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში ვფიქრობ გავაძლიერო ჩემი როგორც საკრებულოს წევრის და როგორც კომისიის თავმჯდომარის საკრებულოების საზედამხედველო ფუნქციები მიღებული რეგლამენტის შესაბამისად.
- გავაგრძელებ აქტიურ და მჭიდრო თანამშრომლობას საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.
- აქტიურად ვიქნები ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მიმდინარე საბიუჯეტო პროცესებში და მექნება კარგი კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.
- 2024 წელს დავსრულებთ პროექტს სოფელ ბუკნარში თანასწორობის ცენტრის გახსნა, დარჩენილია მოსაგვარებლად მცირე ტექნიკური ნაწილი.
- ადგილობრივ ქალთა გაძლიერების მიმართულებით გავაგრძელებ მუშაობას, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
- 2024 წელს ჩატარდება „ქალთა ფორუმი...“ ქალები ცვლიან, უკვე მეორედ და ვფიქრობ ინტერმუნიციპალური ფორუმის ჩატარებას.
- აქტიური იქნება ჩემი ფრაქციული და პარტიული მუშაობა.
- 2024 წლის ბიუჯეტს დაემატება ერთი ახალი პროგრამა გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ჩატარებული ფოკუს ჯგუფების კვლევის ან სამიზნე ჯგუფის წევრების გამოკითხვის საფუძველზე.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 2023 წლის 04 ოქტომბერი

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 15 ოქტომბერი

ხელმოწერა: